

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის  
სპეციალობის საგამოცდო საკითხები

- 1) რას შეისწავლის ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია?
- 2) რა არის ჰიპოდინამია?
- 3) რა მეთოდები არსებობს ფიზიკური განვითარების დასადგენად.
- 4) რა არის სომატოსკოპია?
- 5) რისი მაჩვენებელია პინიეს ინდექსი?
- 6) რა მაჩვენებლებს ეყრდნობა ერისმანის ინდექსი?
- 7) რა არის დინამომეტრია?
- 8) რა არის ჰომეოსტაზი?
- 9) რა არის იშემია?
- 10) რა არის ადაპტაცია?
- 11) რა არის ანთეზა?
- 12) რა არის ინფარქტი?
- 13) რა არის ფენოტიპი?
- 14) რა არის დისტროფია?
- 15) რა არის ალერგია?
- 16) რომელი ფიზიოლოგიური სიმრუდეები ახასიათებს ხერხემალს?
- 17) ხერხემლის გამრუდებას( მარჯვნივ ან მარცხნივ) ეწოდება:
- 18) რა არის ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა?
- 19) საშუალოდ რა მოცულობისაა ახალგაზრდა, ჯანმრთელი არამოვარჯიშე მამაკაცის გული?
- 20) რა ეწოდება გულის კუნთის გაზრდას?
- 21) რა იწვევს „სპორტული გულის“ ზომების გადიდებას?
- 22) რა ახასიათებს „სპორტულ გულს“?
- 23) რა შემთხვევაშია ტაქიკარდია?
- 24) რას გამოიმუშავენ ენდოკრინული ჯირკვლები?

- 25) ჩამოთვლილთაგან, რომელია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები?
- 26) რა არის მიოგენური ლეიკოციტოზი?
- 27) მცირე ინტენსიობის დატვირთვისას ვითარდება მიოგენური ლეიკოციტოზის
- 28) ხანგრძლივი და ინტენსიური დატვირთვისას ვითარდება მიოგენური ლეიკოციტოზის
- 29) რომელ სინჯს ვიყენებთ ვეგეტატიური ნერვული სისტემის გამოკვლევისას
- 30) რომელი სინჯით ვიკვლევთ სტატიკურ კოორდინაციას
- 31) რას ვადგენთ ცხვირ-თითის სინჯით
- 32) რას ვიკვლევთ იაროცკის ბრუნვითი სინჯით
- 33) რა არის პროტეინურია
- 34) რა არის ჰემატურია
- 35) რა ცვლილებებია დამახასიათებელი შარდში დიდი დატვირთვების დროს
- 36) რა დატვირთვის ვიყენებთ მარტინე - კუმელევსკის სინჯის ჩატარებისას?
- 37) რა არის გადაღლა?
- 38) ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან რომელი არ არის დოპოინგი?
- 39) რა ვითარდება ქრონიკული გადაძაბვის დროს?
- 40) ჩამოთვლილი ტესტებიდან რომელია რაოდენობრივი?
- 41) როგორ უნდა შეიცვალოს პულსი ორთოსტატიკური სინჯის ჩატარებისას?
- 42) ფუნქციური სინჯების ჩატარების ძირითადი მიზანია
- 43) რომელი ჯგუფის პრეპარატები აძლიერებენ ორგანიზმის გამძლეობას ჰიპოქსიის
- 44) რა არის ჰემარტოზი
- 45) რას გვიჩვენებს ჰარვარდის სტეპ-ტესტის ინდექსი?
- 46) რა არის ჰიპოგლიკემიის ერთ-ერთი ადრეული სიმპტომი?
- 47) სპორტული მუშაობისუნარიანობის აღდგენის საშუალებებია
- 48) როგორი წნევა ახასიათებთ გაწვრთნილ სპორტსმენებს?
- 49) ლეტუნოვის სინჯზე რომელი რეაქციის დროს აღინიშნება „დაუსრულებელი ტონის“ ფენომენი?
- 50) რა სიმპტომები ახასიათებს იოგოვანი აპარატის დაზიანებას?
- 51) სპორტის რომელ სახეობაში გვხვდება გრავიტაციული შოკი (უფრო ხშირად)

- 52) ჩამოთვლილი ტესტებიდან რომელია სუბმაქსიმალური?
- 53) ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელია ფიზიოლოგიური?
- 54) როგორ უნდა შეიცვალოს სისტოლური TA მარტინე - კუმელევსკის სინჯზე დადებითი რეაქციის დროს?
- 55) როგორი მოვლენაა გადაწვრთნა?
- 56) ტანადობის შეფასებისას სხეულის რომელი ნაწილები უნდა ეხებოდეს კედელს?
- 57) შეიძლება თუ არა კინეზოთერაპიული პროცედურის დანიშვნა არასტაბილური სტენოკარდიის დროს (პირველად აღმოცენებული, სპონტანური სტენოკარდიები)?
- 58) ინიშნება თუ არა კინეზოთერაპია მიტრალური სტენოზის დროს, რომელსაც თან ახლავს სისხლიანი ხველა?
- 59) ინიშნება თუ არა სამკურნალო ვარჯიშები სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის დროს?
- 60) გულის კუნთის კუმშვადობის შემცირებას იწვევს:
- 61) გულის იშემიური დაავადებით პაციენტებში კინეზოთერაპიის ჩატარებისას ექსტრასისტოლების წარმოშობის შემთხვევაში:
- 62) მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომ პერიოდში გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გართულების შემთხვევაში შეიძლება თუ არა კინეზოთერაპიის ჩატარება?
- 63) რომელი ვარჯიშები ითვლება სპეციალურ ვარჯიშებად ჰიპერტონული დაავადების I-II სტადიების დროს?
- 64) რა სახის სამკურნალო ვარჯიში ენიშნება პაციენტს მწვავე თრომბოფლებიტიის გადატანის შემდეგ?
- 65) შეიძლება თუ არა თრომბოფლებიტიით დაავადებულ კიდურზე კინეზოთერაპიის ჩატარება წოლით რეჟიმში მყოფი ავადმყოფისათვის?
- 66) როგორი სახის სამკურნალო ვარჯიში შეიძლება ჩატარდეს ავადმყოფს რევმატიზმის აქტიურ ფაზაში წოლითი რეჟიმის დროს?

- 67) სამკურნალო ვარჯიშების რომელი ფორმებს ენიჭება უპირატესობა რევმატიზმის არააქტიურ ფაზაში?
- 68). რომელი სინჯი გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლისას?
- 69) ბრონქიტის ქვემწვავე სტადიაში ავადმყოფს ენიშნება:
- 70). ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტებში გახანგრძლივებული ამოსუნთქვის დროს ბრონქების ვიბრაციისათვის უპირატესად იყენებენ:
- 71). ქრონიკული ენტეროკოლიტების რომელი კლინიკური ფორმის დროსაა უკუნაჩვენები სამკურნალო ტანვარჯიში?
- 72) შაქრიანი დიაბეტის რომელი ფორმის დროსაა ნაჩვენები ფიზიკური ვარჯიშები?
- 73) ჰემიპარეზის დროს რომელი კუნთური ჯგუფის ვარჯიშები და მასაჟია აუცილებელი კონტრაქტურების თავიდან აცილების მიზნით?
- 74) ჰემიპარეზების დროს როდის ვიყენებთ ფიქსატორებს (შინებს, ლონგეტებს)?
- 75) ჰემიპარეზის დროს როგორი მდებარეობა უნდა ჰქონდეს ავადმყოფს მიღებული საწოლში?
- 76) როგორი მაკორეგირებელი ვარჯიშები ტარდება დისპლაზიური სკოლიოზის პირველი ხარისხის დროს?
- 77) როგორი მაკორეგირებელი ვარჯიშები ტარდება დისპლაზიური სკოლიოზის მეორე ხარისხის დროს:
- 78) დისპლაზიური სკოლიოზის რომელ ფორმას ეწოდება S-ის მაგვარი?
- 79) სკოლიოზის დროს რომელი სტილით ცურვაა ნაჩვენები?
- 80) ძირითადად რომელი კუნთების რელაქსაციაა საჭირო კისრის ოსტეოქონდროზის მწვავე და ქვემწვავე სტადიაში ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებისას?

- 81) რა ყოფითი ხასიათის რეკომენდაციები უნდა მიეცეს პაციენტს წელის ოსტეოქონდროზის დროს?
- 82) დგომის როგორი რეჟიმი უნდა დაიცვას წელის ოსტეოქონდროზით დაავადებულმა პაციენტმა?
- 83) სამკურნალო მასაჟის რომელ ილეთებს ვიყენებთ ხერხემლის ოსტეოქონდროზის მწვავე ფაზაში?
- 84) რა მთავარ ამოცანას ისახავს სამკურნალო ვარჯიშები ხერხემლის ოსტეოქონდროზის გამწვავეების ფაზაში?
- 85) უპირატესად რომელი სახსრები ზიანდება რევმატოიდული ართრიტის დროს?
- 86) პირველ რიგში რა ამოცანას ისახავს სამკურნალო ვარჯიში ბეჭის ძვლის მოტეხილობის დროს?
- 87) რა მიზანს ისახავს ფიზიკური რეაბილიტაცია გულის იშემიური დაავადების ოპერაციის შემდგომ პერიოდში, სტაციონარულ ეტაპზე?
- 88) რა უნდა იყოს გათვალისწინებული სამკურნალო ტანვარჯიშის მეთოდის შედგენისას მუცლის ღრუს ორგანოებზე პოსტოპერაციულ პერიოდში?
- 89) რა შემთხვევაშია სამკურნალო ტანვარჯიში უკუნაჩვენები გულზე ოპერაციების წინა პერიოდში ?
- 90) როგორ სრულდება სტატიკური სუნთქვითი ვარჯიშები?
- 91) რომელ ასაკში უნდა დავიწყოთ დისპლაზიური სკოლიოზის მკურნალობა?
- 92) ტანდებობის დარღვევის დროს სამკურნალო ვარჯიშის ამოცანებია:
- 93) თემოს მოტეხილობის შემთხვევაში როგორ კეთდება სატრანსპორტო იმობილიზაცია?
- 94) კისრის რადიკულოპათიის მკურნალობა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:
- 95) მხრის სახსრის სასახსრე ზედაპირების პათოლოგიური დაზიანების მიზეზია:

96) მხრის ოსტეოართროზის დროს კლინიკურად უფრო ხშირად გამოვლინდება:

97) კოქსართროზის გამწვავების დროს ყველაზე ხშირი ჩივილია:

98) ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მალთაშუა დისკების დეგენერაციული დაავადების (ოსტეოქონდროზის) რისკ-ფაქტორი?

99) ოსტეოპოროზის დროს ნაჩვენებია შემდეგი მკურნალობა:

100) რას ნიშნავს პასიური ფიზიკური ვარჯიშები?

101) როგორ მოქმედებს ფიზიკური ვარჯიშები ინსულინის სამკურნალო ეფექტზე?

102) აღნიშნეთ როდის არის ნაჩვენები ზურგის კუნთების მასაჟი

103) რომელი მონაცემების მიხედვით ხდება სპორტსმენთა საექიმო კონტროლის დროს ორგანიზმის ფიზიკური განვითარების განსაზღვრა?

104) რით არის განპირობებული სპორტსმენის ორგანიზმში განვითარებული გადაწვრთნის მდგომარეობა?

105) რა მიზნით ღებულობენ სპორტსმენები დოპინგს?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დოლიძე ი. - ფიზიკური მედიცინა და ზოგადი რეაბილიტაციის მიმართულებები. პეგასი, თბ., 2010.
2. სვანიშვილი რ., კახაბრიშვილი ზ. - სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია. თბ., 2010
3. თელია ზ. - სპორტსმენთა მუშაობისუნარიანობის აღდგენის სამედიცინო-ბიოლოგიური საშუალებები. თბ., 1989
4. თელია ზ. - სამკურნალო ფიზიკური კულტურა/ თბ., 1985
5. რ. სვანიშვილი - საექიმო კონტროლი და სამკურნალო ფიზიკური კულტურა. 2003წ.